

ქ.თბილისი

2018 წლის 2 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 2 ოქტომბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ლევან ჩიკვაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის განცხადება, მატჩის მეთვალყურის მ. გოგიჩაიშვილის ოქმი, და მთავარი მსაჯის ს. ლომსაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 26 სექტემბერს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩზე, გორის „ჯიქი“-სა და თბ „ხვამლი 3“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. გორის „ჯიქი“-ს მორაგბე ლუკა ოსეფაშვილი - კონფლიქტის პროვოცირება.
2. თბ „ხვამლი 3“-ს მორაგბე ლადო შიუკაშვილი - კონფლიქტის პროვოცირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7 სრკ სადისციპლინო პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. გორის „ჯიქი“-ს მორაგბე ლ. ოსეფაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 3 (სამი) სათამაშო კვირით.
2. თბ „ხვამლი 3“-ს მორაგბე ლ. შიუკაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/